



თუ რომელიმე თქვენგანს ლოცვის დროს ეჭვი გაუჩნდება და ვერ გაარკვევს, სამი რაქათი ილოცა თუ ოთხი, მან ეჭვი უნდა უარყოს და დაეყრდნოს იმას, რაშიც დარწმუნებულია. შემდეგ მან უნდა შეასრულოს ორი სუჯუდი მისალმების წინ

აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (აღლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «თუ რომელიმე თქვენგანს ლოცვის დროს ეჭვი გაუჩნდება და ვერ გაარკვევს, სამი რაქათი ილოცა თუ ოთხი, მან ეჭვი უნდა უარყოს და დაეყრდნოს იმას, რაშიც დარწმუნებულია. შემდეგ მან უნდა შეასრულოს ორი სუჯუდი მისალმების წინ. თუ მან ხუთი რაქათი წაიკითხა, ეს დამატებითი რაქათი მის ლოცვას სრულყოფილად აქცევს. ხოლო თუ მან ოთხი რაქათი სრულყოფილად წაიკითხა, ეს ორი სუჯუდი იქნება შაიტნისთვის დამცირება»

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

აღლაჰის მოციქულმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ თუ მლოცველს ლოცვისას ეჭვი გაუჩნდება და ვერ გაიგებს, სამი რაქათი ილოცა თუ ოთხი, მან უნდა გამორიცხოს ეჭვის ზედმეტი რიცხვი და არ დაეყრდნოს მას, სამი არის ის, რაც დადასტურებულია, ამიტომ მან უნდა შეასრულოს მეოთხე რაქათი, შემდეგ კი მისალმების წინ ორი სუჯუდი უნდა გააკეთოს. თუ ის, რაც მან ნამდვილად ილოცა, ოთხი რაქათი იყო, დამატებითი რაქათი მეხუთედ იქცევა, ხოლო დავინწყების ორი სუჯუდი იმ დაკარგული რაქათის სანაცვლოდ შესრულდება, რაც ლოცვას წყვილად აქცევს და არა კენტად. ხოლო თუ მან დამატებითი რაქათის ჩათვლით ოთხი რაქათი შეასრულა, ეს ნიშნავს, რომ მან თავისი ვალდებულება ზედმეტობის ან ნაკლოვანების გარეშე შეასრულა. დავინწყების ორი სუჯუდი არის შაიტნის დამცირება და მისი განდევნა იმ მიზნისგან რაც მას აქვს დასახული. ეშმაკმა მლოცველს ლოცვა აურია და მისი გაფუჭება სცადა, მაგრამ ადამის შვილის ლოცვა სრულყოფილი გახდა, როდესაც მან აღლაჰის ბრძანებას დაემორჩილა და სუჯუდი გააკეთა. ეს სუჯუდი წარმოადგენს იმ ბრძანების შესრულებას, რომელსაც იბლისმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, როდესაც აღლაჰისგან ადამის წინაშე საჯარო უარი თქვა.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

